| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლას ელექტრო ენერგია და წყალი მიეწოდება უწყვეტად.<br>შენობის პირველ სართულზე მდებარეობს სველი წერტილები: ბიჭებისთვის, გოგნებისთვის და სსსმ პირისთვის. თითოეული სველი წერტილი სამგანყოფილებიანია, მათ შორის ერთი ეტლითმოსარგებლე პირისთვის იყო განსაზღვრული. ვიზიტის დროს სველი წერტილების განყოფილებები არ იყო გამიჯნული ერთმანეთისგან, ხოლო სსსმ პირის სველ წერტილს არ ჰქონდა კარები, რაც ვერ უზრუნველყოფდა პირადი სივრცის დაცულობას. ექსპერტთა მიგნებების გათვალისწინებით სკოლამ ვიზიტის დროს გააფორმა ხელშეკრულება სველ წერტილებში ტიხრების და კარების დამზადებაზე, ხოლო სსსმ პირის სველი წერტილი გადაიტანა სხვა ადგილზე და შეიძინა საჭირო ინვენტარი.<br>**<u>შენიშვნა: სკოლის მიერ წარმოდგენილ ფოტომასალაში (არგუმენტირებული პოზიცია) ჩანს, რომ სველ წერტილებში დამზადდა ტიხრები და კარები, ხოლო სსსმ პირისთვის ცალკე მოეწყო სველი წერტილი.</u>** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• კომუნალური გადასახადის გადახდის ქვითრები<br>• ხელშეკრულებებით; შპს ,,გაზკო+“, ენერგო-პრო ჯორჯასთან, გაერთაიანებული წყალმომარაგეის კომპანიასთან.<br>• ხელშეკრულებით სველი წერტილების ტიხრების და კარების დამზადებაზე 27/12/2022 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ადაპტირებული სველი წერტილის ინვენტარის შეძენის ზედნადებით-ელ- 0713395987 27/12/2022 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც თაროებზე განთავსებულია სახელმძღვანელოები, მასწავლებლის დამხმარე და მეთოდური მასალები, ბეჭდვითი გამოცემები, მხატვრული და შემეცნებითი სახის ლიტერატურა.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქცია, ბიბლიოთეკაში ქცევისა და წიგნით სარგებლობის წესები, განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი. ბიბლიოთეკაში დგას 1 ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის წესით და აღრიცხულია საინვენტარო წიგნში (1675 წიგნი). დაწესებულებაში მოქმედებს ანბანურ-სისტემური კატალოგი და მკითხველის ბარათები. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციით<br>• ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობაში შესასვლელი შიდა ეზოდან ადაპტირებულია, პანდუსები დამზადებულია სამივე სართულის კიბეებისთვის. ვიზიტის დროს, სსსმ პირის სველი წერტილისთვის გამოყოფილი |

| | |
|---|---|
| | იყო ერთი განყოფილება გოგონებისა და ბიჭების საპირფარეშოებში. თუმცა ეტლითმოსარგებლე პირისთვის საკმაოდ მოუხერხებელი და არაკომფორტული იყო, რადგან არ ჰქონდა კარები და ხელის მოაჯირი.<br>ექსპერტთა მიგნებების გათვალისწინებით, სკოლამ ვიზიტის დროს, ადაპტირებული სველი წერტილისთვის პირველ სართულზე გამოიყო ცალკე ადგილი და შეიძინა საჭირო მასალები.<br>**შენიშვნა: სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციაში, ფოტომასალას სახით წარმოადგინა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის მტკიცებულება** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• უნიტაზის შეძენის ზედნადები-ელ- 0713395987 27/12/2022, |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კომპიუტერული კლასი განთავსებულია მე-4 კლასის საკლასო ოთახში, სადაც დგას 11 კომპიუტერი, აქედან 4 ლეპტოპია. კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესში ასევე სკოლის მართვაშიც. სულ სკოლის მფლობელობაშია 13 კომპიუტერი, 1-პროექტორი და 2-პრინტერის აპარატი. ინტერნეტის მოწოდება ხდება ს.ს. სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.<br>სკოლა აქვს ვებგვერდი http://www.ecgliceum.ge/, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. კერძოდ, მისია, სკოლის წესდება, შინაგანაწესი, სკოლის სტრუქტურა, 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. საკომუნიკაციოდ მითითებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საკონტაქტო ინფორმაცია; მისამართი, ტელეფონის ნომრები და ელ. ფოსტა. ვებგვერდიდან შესაძლებელია შეტყობინების გაგზავნაც. სკოლა საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებსაც. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე არის რამდენიმე ბლოკი, რომლებიც არ ფუნქციონირებს, სასურველია ვებგვერდის დიზაინით გათვალისწინებული ყველა ფანჯარა იყოს მოქმედი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვებგვერდით: http://www.ecgliceum.ge/<br>• ვიზუალური დათვალიერებით<br>• ხელშეკრულებით ს.ს. სილქნეტთან<br>• ჰოსტინგის მომსახურეობის საგადახდო დავალებით. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების შენობა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმები, შენობის საევაკუაციო გზებზე მოწყობილია ავარიული განათებები და „საევაკუაციო გზის" მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები, ეზოში გამოკრულია ხანძრის შემთხვევაში თავშეყრის ადგილის მანიშნებელი.<br>ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი შესაბამისი აღჭურვილობით. სულ შენობაში განთავსებულია 4 ცეცხლმაქრი. შენობას აქვს ერთი ძირითადი და სამი სათადარიგო გასასვლელი, მე-2 და მე-3 სართულის სათადარიგო გასასვლელებში დამონტაჟებულია სახანძრო კიბე.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხანძრის შემთხვევაში მოქმედების წესი", რომელიც გამოკრულია დერეფნებში.<br>სასწავლო წლის დასაწყისში თანამშრომლებს უტარდება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე, საევაკუაციო გეგმის გაცნობასა და ხანძრის შემთხვევაში ფუნქციების გადანაწილებაზე, რაც დასტურდება თანამშრომელთა ხელისმოწერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• ცეცხლმაქრების გადამუხტვის გადახდის ქვითრით<br>• სახანძრო უსაფრთხოების წესებით<br>• თანამშრომელთა ხელმოწერები, სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობის დამადასტურებლად. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.<br>საევაკუაციო გეგმის მიხედვით დერეფნებში განთავსებულია მიმართულების მანიშნებელი ისრები, თუ როგორ მოხდება ხალხის ნაკადის გადაადგილება ევაკუაციის დროს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შპს ,,იმერეთის სახანძრო დაცვა“ ინდ. მეწარმე ,,დემურ მებონიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით და მიღება-ჩაბარების აქტით საევაკუაციო გეგმების დამზადებაზე. |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი.<br>სამედიცინო კაბინეტში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, კარადა წამლებისთვის და პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო ინვენტარისთვის, მაცივარი, სამედიცინო პერსონალის მაგიდა და სკამი. ექსპერტთა მიგნებების შემდეგ, ვიზიტის დროს, სამედიცინო კაბინეტში დაიწყო ხელსაბანის დასამონტაჟებელი სამუშაოები. <u>სკოლას ასევე მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სამედიცინო ტახტის გამიჯვნა ოთახის დანარჩენი სივრცისგან.</u> |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ის შესაბამისად, სკოლაში ხდება გაწეული სამედიცინო მომსახურების, ვადაგასული და დახარჯული მედიკამენტებისა/სამედიცინო მასალების აღრიცხვა. სკოლას ჰყავს ორი მედდა.<br>**შენიშვნა: <u>დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში, ფოტომასალის სახით წარმოადგინა მტკიცებულება სამედიცინო ტახტის გამიჯვნისა და ხელსაბანის დამონტაჟების შესახებ.</u>** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• მედდებთან გაფორმებული ხელშეკრულებით<br>• საშტატო განრიგით<br>• სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების შეძენის დიკუმენტაციით. |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესები“.<br>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის № 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე და წესრიგის დაცვაზე უფლებამოსლი პირი. შეძენილია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისთვის ხელის დეტექტორი. სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეთა წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებლები და დღის დარაჯი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებით“<br>• საშტატო განრიგით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სკოლის წერილი № 5 ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შეთანხმებაზე 20/01/2020<br>• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 62000112641;31/01/2020<br>• ხელის დეტექტორის შესყიდვის დოკუმენტაცია 07/11/2022 |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის პერიმეტრის დათვალიერება ხდება ვიდეოკამერებით. მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებულია 11 ვიდეოთვალი. შენობის შიდა პერიმეტრს აკონტროლებს 7 ვიდეოთვალი, ხოლო გარეს 4 ვიდეოკამერა, აქედან 2 სკოლის შიდა ეზოშია. ვიდეოთვალით სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ხდება დირექტორის კაბინეტში განთავსებული მონიტორიდან.<br>სკოლის ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებში“ გაწერილია ვიდეოთვალთვალის სისტემებით სკოლის აღჭურვისა და ადმინისტრირების, ასევე პერსონალურ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გამოყენებისა და შენახვის წესები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები’’. |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებს წარმოადგენს: წესდება, სკოლის შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი ინსტრუქციები.<br>წესდება განსაზღვრავს სკოლის სახელს და სამართლებრივ ფორმას, საქმიანობის საგანსა და მოქმედების ვადას, პარტნიორებს, მართვის ორგანოებს, საზოგადოების მიზნებსა და მიმართულებებს, საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობებს, საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტასა და ლიკვიდაციის წესებს.<br>შინაგანაწესი მოიცავს 6 თავს:<br>1. ზოგადი დებულებები<br>2. სკოლის მოსწავლეები<br>3. მოსწავლის მშობელი<br>4. სკოლის თანამშრომლები<br>5.სკოლის სტრუქტურა და მართვა<br>6. შინაგანაწესის გარდამავალი დებულებები<br>სკოლის მიერ შემუშავებულ შინაგანაწესში გვხვდება ისეთი საკითხები, რომლებიც განსაზრვრულია ასევე სხვა დოკუმენტით. მაგალითად შინაგანაწესის მე-7-მე-13 მუხლები მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის შეფასების სისტემების შესახებ, რაც ასევე განსაზღვრულია სასკოლო გეგმით. შინაგანაწესის მე-5 თავი წარმოადგენს სკოლის სტრუქტურასა და მართვას, რომელიც იმეორებს სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილ სკოლის მართვაში მონაწილეთა ფუნქცია-მოვალეობებს. შინაგანაწესში არათანმიმდევრულად არის წარმოდგენილი მოსწავლეთა და მასწავლებელთა წახალისებისა და სანქციების გამჭირვალე სისტემები.<br>სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შინაგანაწესით განისაზღვროს ისეთი საკითხები, როგორიცაა: სამუშაო და დასვენების დრო, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შვებულების მიცემის წესი და ხანგრძლივობა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მოსწავლისა და დასაქმებულის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი; სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა და სკოლიდან გადაყვანა,ექსკურსიების ორგანიზება, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდებით<br>• შინაგანაწესით<br>• სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი ინსტრუქციებით<br>• სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების ექვსწლიანი გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს 2022-2028 წლებს წარმოდგენილია ნარატივის სახით და საუბარია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ძირითადი პრინციპებზე, პრიორიტეტულ მიზნებზე, მიმართულებებზე, ამოცანებზე და მიზნობრივ ინდიკატორებზე. პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მატერიალური რესურსების სრულყოფასა და განვითარებას. განსაზღვრულია მიზნის მისაღწევად ამოცანები და მიღწევის შეფასების ინდიკატორები.<br>2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა ცხრილის სახითაა წარმოდგენილი და ახდენს პრიორიტეტული თემების, დაგეგმილი სამუშაოების, ვადებისა და პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას. სკოლის სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს, სკოლის მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებასა და მათ გაუმჯობესებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმით ბრ. №38 ; 29/06/2022<br>• 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმით ბრ.№ 71; 07/09/2022 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის შესაბამისად დაწესებულებაში მიმდინარებს დოკუმენტბრუნვა. საქმისწარმოების შეუფერხებელ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი.<br>სკოლაში მოქმედებს შემდეგი სახის სარეგისტრაციო ჟურნალები:<br>• საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.<br>ყველა სარეგისტრაციო ჟურნალს აქვს შესაბამისი საქაღალდე. სარეგისტრაციო ჟურნალი დამუშავებულია საქმისწარმოების წესის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების წესით<br>• ჟურნალების ვიზუალური დათვალიერებით<br>• საერთო და მოსწავლის ბრძანებების ჟურნალით<br>• გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალით<br>• შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალით<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით<br>• სარეგისტრაციო ჟურნალების შესაბამისი საქაღალდეებით<br>• საშტატო განრიგით |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | 2.7.სკოლის შინაგანაწესის შემუშავების დროს ყურადღება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი და მისი თანამდევი ურთიერთობის მოწესრიგებას, ასევე დისციპლინისა და წახალისების გამჭირვალე სისტემის ჩამოყალიბებას. . |
| რჩევები: | სასურველია ვებგვერდის დიზაინით გათვალისწინებული ყველა ფანჯარა იყოს მოქმედი. |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალი„ზი | სკოლაში დასაქმებულია 36 თანამშრომელი, მათ შორის 27 მასწავლებელია.<br>შინაგანაწესის თანახმად, სკოლის სტრუქტურა მოიცავს სკოლის დირექციას (სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე-ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ბუღალტერი), ტექნიკურ პერსონალს (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი), დამხმარე პერსონალს (მნე, მედდა, დამლაგებელი და დარაჯი), პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, კლასის დამრიგებლებს.<br>საშტატო განრიგით და eSchool ბაზის მონაცემებით სკოლას ჰყავს:<br>დირექტორი,<br>დირექტორის მოადგილე, რომელიც ასევე არის ხარისხის მართვის მენეჯერი და ისტ-ის მოწვეული მასწავლებელი,<br>სასწავლო პროცესის კოორდინატორი,<br>ბუღალტერი,<br>საქმისმწარმოებელი,<br>ბიბლიოთეკარი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ექთანი-2,<br>დამლაგებელი-2,<br>უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ასევე ასრულებს დღის დარაჯის მოვალეობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• eSchool ბაზა<br>• საშტატო განრიგი;<br>• 2022-2023 წლის საათობრივი ბადე;<br>• გასაუბრება სკოლის დირექტორთან |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 27 |
| მოწვეული/მაძიებელი | 3/1 |
| უსტატუსო მასწავლებლი | 6 |
| უფროსი მასწავლებლი | 17 |
| წამყვანი მასწავლებლი | 0 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| |
|---|
| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებელთა პირად საქმეებში დევს დოკუმენტაცია მათი კვალიფიკაციისა და/ან მინიჭებული სტატუსების შესახებ.<br>ვიზიტის დროს განხორციელდა თანამშრომელთა რეგისტრაცია, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“ცნობების გაცემაზე.<br>შენიშვნა: არგუმენტირებული პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“.<br>დაწესებულებას 9 პედაგოგთან გაფორმებული ჰქონდა მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება. მასწავლებლების საათობრივი დატვირთვის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ 6 მათგანის საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამება მოწვეული მასწავლებლის სტატუსით განსაზღვრულ 9 საათიან დატვირთვას. სკოლამ ვიზტის დროს გაასწორა ხარვეზი და ხელშეკრულებები დანართის სახით წარმოდგინა. ამჯერად სკოლაში არის 6 უსტატუსო მასწავლებელი, რომლებსაც აქვთ შემდეგი განათლება:<br>1. დაწყებითი მე-4 კლასის პედაგოგი- სოხუმის ჰუმანიტარული-ეკონომიკური ინსტიტუტის ბაკალავრის დიპლომი, დაწყებითი განათლების აკადემიური ხარისხი.<br>2. მატემატიკა-სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, მათემატიკის მასწავლებლის კვალიფიკაციით.<br>3. დაწყებითი პირველი კლასი- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედ. ინსტიტუტი. ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია<br>4. მე-3 კლასის დაწყებითის მასწავლებლი- აკ. წერეთლის სახელობის უნივერსისტეტი, დაწყებითი განათლების ბაკალავრი და მაგისტრი, 2019 წელს გაიარა განათლების დაწყებით საფეხურის სრული კურსი ,,მასწალებლის ეროვნული სკოლის“ ფარგლებში, სერთიფიკატი- ,,ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, ინკლუზიური განათლების თეორიული და პრაქტიკული მეთოდოლოგიის მოკლე კურსი.<br>5.მუსიკა-საქართველის ხელოვნების აკადემია(წითელი დიპლომი), კონცერტმეისტერის, პედაგოგის კვალიფიკაციით. ანსამბლ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ,,კოლხური ტრიოს“ წევრი, ღირსების ორდენის მფლობელი. მასწავლებლად მუშაობის 50 წლიანი გამოცდილება.<br>6.სპორტი-საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ინჟინერ მექანიკოსის კვალიფიკაციით. ოსტატის მოწმობა ჭადრაკში. პედაგოგიური მოღვაწეობა- 1991 წლიდან მუშაობს ჭადრაკის მწვრთნელ პედაგოგად.<br>სკოლას ჰყავს მენტორის სტაატუსის კადრი, რომელიც ასევე არის ახალი სკოლის მოდელის საგნობრივი ექსპერტი. სკოლაში დასაქმებულია როგროც სასწავლო პროცესების კოორდინატორი და ამჟამად სკოლაში არ აქვს საათობრივი დატვირთვა.<br>პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ უსტატუსო პედაგოგებს სურთ პროფესიული ზრდა და გამოიყენებენ მიცემულ შესაძლებლობას საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულება<br>• მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;<br>• გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციასთან<br>• eSchool ბაზა |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მე-4 თავით განსაზღვრულია სკოლაში თანამშრომელთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესი, შინაგანაწესში ასევე გაწერილია მასწავლებელა წახალისება წარმატებისთვის და დისციპლინალური სახდელების შესახებ ინფორმაცია.<br>სკოლაში პედაგოგთა დასაქმება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.<br>ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა კონკურსის ჩატარების მასალები. კერძოდ, დირექტორის ბრძანებები ,,ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ , ასევე ბრძანება საკონკურსო კომისიის და საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. წამოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ სკოლამ ღია კონკურსი გამოაცხადა მთელ რიგ საგნებში: ისტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სპორტი, მათემატიკა, დაწყებითი კლასის მასწავლებელი, ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება, ისტორია, სამოქალაქო განათლება. როგოროც კომისის სხდომის ოქმებიდან ჩანს, გარკვეულ ვაკანტურ ადგილზე საერთოდ არ გაკეთდა განაცხადი და კონკურსი ჩაიშალა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ საბოლოოდ ვაკანტური ადგილები შეივსო მოწვეული და უსტატუსო მასწავლებლებით.<br>მასწავლებლების გარდა, სხვა თანამშრომლის მიღება ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით, კანდიდატთან გასაუბრების და შინაგანაწეით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგინებით, დოკუმენტების ჩამონათვალი არ მოიცავდა, ცნობას, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 33-1 მუხლით გათვალისწინებული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. სკოლამ, აღნიშნული მიგნებები გაითვალისწინა ვიზიტის დროს და ჩაასწორა შინაგანაწესში, ასევე სკოლის თანამშრომლებმა გაიარეს რეგისტრაცია ცნობის ასაღებად.<br>ხელშეკრულების შეწყვეტის წესები და პირობები რეგულირდება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შინაგანაწესით და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.<br>შინაგანაწესში გაწერილია წახალისების და დისციპლინური სახდელების საქმისწარმოება. სწავლებაში წარმატებებისა და მუშაობაში მოპოვებული სხვა მიღწევებისათვის გამოიყენება შემდეგი სახის წახალისებანი: მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქარის გადაცემა, პრემია ან ფულადი ჯილდო. წახალისება ცხადდება ბრძანებით, ეცნობება სკოლის მთელ კოლექტივს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.<br>სკოლაში თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის შემდეგი სახდელები გამოიყენება: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, სამსახურიდან განთავისუფლება, თუმცა არ არის წარმოდგენილი თითოეული სახდელის გამოყენების შემთხვევები. <u>სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს დისციპლინური სანქციების გამჭირვალე სისტემის შემუშავება.</u> |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესით<br>• მასწავლებელთა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურის ჩატარების წესით<br>• სკოლის დირექტორთან გასაუბრებით<br>• მასწავლებლებთან გასაუბრებით<br>• საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებით<br>• ბრძანებით №86 საკონკურსი კომისიის შექმნის შესახებ<br>• ბრძანებით №87 საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ<br>• ბრძანებებით ღია კონკურსის გამოცხადებასა და ვადების განსაზღვრის შესახებ საგნების მიხედვით. |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, სამუშაო ადგილი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურება, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შვებულება, მივლინება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება/ შეწყვეტის წესი და პირობები, შრომითი დავების განხილვა და გადაწყვეტა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს მოხდა უსტატუსო მასწავლებელეთა ხელშეკრულებეში შესაბამისი ვალდებულებების გაწერა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• თანამშრომელთა პირადი საქმეები;<br>• გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციასთან. |
| **შეფასება:** | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, რომელიც მოიცავს მხოლოდ მასწავლებლის პროფესიული განვითარების გზებასა და ამოცანებს. სკოლაში ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელია ხარისხის განვითარების მენეჯერი, რომლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება. მასწავლებლები ფართოდ იყენებენ ურთიერთდასწრებას კათედრების წევრებს შორის, კათედრებზე განიხილავენ ჩატარებული გაკვეთილების ძლიერ და სუსტ მხარეებს და ხდება რეკომენდაციების მიცემა. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია შემუშავდეს მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ერთიანი გეგმა.</u> |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის 2022-2023 სამოქმედო გეგმით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებით<br>• გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო საზოგადოების ინტერვიურებით გამოვლინდა, რომ სკოლაში არის კეთილგანწყობილი და კოლეგიალური გარემო. სკოლა მასწავლებლებს, მოსწავლეს, მშობელს და სკოლაში დასაქმებულს ყველა პერსინალს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციულ კულტურას სთავაზობს. სკოლაში პერიოდულად ტარდება გამოკითხვები. თითოეულ მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, შეხედულებები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს თვითრეალიზაციის, სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესით<br>• ინტერვიურებით სასკოლო საზოგადოებასთან |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | 3.3.სკოლამ ,უზრუნვეყოს თანამშრომელთა დისციპლინური სანქციების გამჭირვალე სისტემის შემუშავება.<br>3.5.სკოლას მიეცა რეკომენდაცია ადმიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები შემუშავდეს დაწესებულების ყველა სტრუქტურისთვის |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი

ქ. თბილისი. 23. 01. 2023.

(შევსებისადგილი)

გვერდების რაოდენობა - 41 გვერდი (დასკვნა)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.